



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კალანდაძე ანტიფორე დიმიტრის ძე

კალანდაძე ანტიფორე დიმიტრის ძე [22. X (4. XI). 1910, სოფ. ხორითი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, \_ 6. VII. 1976, თბილისი], სამთო ინჟინერ-გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1949), საქართვე. დამს. ინჟინერი (1961). სტალინური პრემიის ლაურეატი (1951).

1938 დაამთავრა საქართვე. ინდუსტრ. ინ-ტის გეოლ.-საძიებო ფაკ-ტი. მუშაობდა ამიერკავკ. გეოლ. ტრესტში საველე პარტიების გეოლოგის, ტექ. ხელმძღვანელის, შემდგომ \_ უფროსის თანამდებობაზე.

კ. იყო აზერბაიჯანის, ჩრდ. კავკასიის, საქართვე. და სამხრ. კავკასიის გეოლ. სამმართველოების უფროსი (1939\_50), სსრკ. გეოლ. სამინისტროს კოლეგიის წევრი, ტექ. სამმართველოს უფროსი (1950\_51), ნავთობის გეოლოგიის მთავარი სამმართველოს უფროსი (1951\_52).

1953\_69 კ. იყო კავკ. მინერალური ნედლეულის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (სამეცნ. დარგში), თემატური სამუშაოების ხელმძღვანელი, შემდგომ \_ უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1969-იდან გარდაცვალებამდე კი \_ საქართვე. საწარმოო გეოლ. სამმართველოს თემატური ექსპედიციის მთ. ინჟინერი.

1951 საქართვე. ბარიტის საბადოთა შესწავლისათვის კ-ს სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა სტალინური პრემია.

1949 კ-მ მიიღო გეოლ. სამსახურის III რანგის გენერალური დირექტორის პერსონალური წოდება.

კ-ის სამეცნ. შრომები ეხება სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.